ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 16-179

ქ. თბილისი 14 სექტემბერი 2016 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შოთა კვარაცხელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავტოტესტ გეორგია“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი #1 გათვალისწინებული შემსყიდვლის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის დიაგნოსტიკური მომსახურების შესრულება და ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათის გაცემა (შემდგომში - მომსახურება) (CPV-71631000)
2.2. ტესტირების ბარათის ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) თვით მისი გაცემის დღიდან.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**
3.1. ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის დიაგნოსტიკური მომსახურების შესრულება და გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათის გაცემის საფასური შეადგენს 79 (სამოცდაცხრამეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 79 (სამოცდაცხრამეტი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**
4.1. მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილსამყოფელია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდვლისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ გამოყოფილ პირებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ღირებულება.

6.3. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი

10. **სხვა პირობები**

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

10.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

10.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან ვერ ასრულებს ვალდებულებებს. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
ტელ./ფაქსი: 2955027
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში № 707297065

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

_____ შოთა კვარაცხელია

მიმწოდებელი:

შპს „ავტოტესტ გეორგია“

ფაქტ. მისამართი: თბილისი, ვაკე-საბურთალო რაიონი, რიგის ქ.No3/43, ბ. 29
ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ
ტელ: 2 53 10 09
საიდენტიფიკაციო კოდი №204903747
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში № GE95TB 0677 6360 2010 0001

გენერალური დირექტორი

_____ ვაჟა იორდანიშვილი

2016 წლის 14 სექტემბრის № 16 - 179 ხელშეკრულების დანართი №1

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების დასახელება	სახელმწიფო N	CPV	მომსახურების განზომილების ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
1	FORD TRANSIT 100-თვის დიაგნოსტიკური მომსახურების შესრულება და ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების ბარათის გაცემა	BSB-375	71631000	სხვა	1	79.00	79.00
საერთო ღირებულება 79.00 (სამოცდაცხრამეტი) ლარი							

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

_____ შოთა ჟვარაცხელია

მიმწოდებლი:

შპს „ავტოტესტ გეორგია“

საიდენტიფიკაციო კოდი №204903747

გენერალური დირექტორი

_____ ვაჟა იორდანიშვილი